დადგენილება #30/2024 "სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის /მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის #57/2020 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

დადგენილება #30/2024

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ" და „წ" ქვეპუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 ოქტომბრის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.შევიდეს ცვლილებები და დამატებები "სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის /მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის #57/2020 დადგენილებაში, კერძოდ:

ა) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-2 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული მასწავლებლის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 560-დან 640 საათამდე.".

ბ) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-3 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „3. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 780 საათის ოდენობით.“.

გ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი: „4^1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული მასწავლებლის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 400-დან 500 საათამდე.“.

დ) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „5. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლის დატვირთვების დათვლა განისაზღვროს 25-იანი ბიჯით, კონცერტმაისტერის - საათობრივი დატვირთვის შესაბამისად.“.

ე) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი: „5^1. მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

2.დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).

5. დადგენილება ძალაშიკანონდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი